ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1600118

ნომერი: AR1263955

თარიღი : 06.11.2014

გაცემის თარიღი : 19.11.2014

გაცნობის თარიღი : 19.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გელოვანი , N 1 , (ნაკვ.1/3) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი დემეტრაშვილი პ/ნ 01024025678
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 42 ბ. 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის 1/1–ის ფასადზე 2 (ორი) ფანჯრის ღიობის მოწყობის და შენობის სახურავზე კონდენციონერის გარე აგრეგატის მონტაჟის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი– საბურთალო, გამზირი გელოვანი , N 1 , (ნაკვ.1/3)–ში, შ.პ.ს. "რენო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 001/003) არსებული შენობის 1/1–ის ფასადზე 2 (ორი) ფანჯრის ღიობის მოწყობის და შენობის სახურავზე კონდენციონერის გარე აგრეგატის მონტაჟის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას . პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მოქ. გიორგი დემეტრაშვილის განცხადება/ თანაგანმცხადებელი შ.პ.ს. "რენო"-ს დირექტორი, მოქ. ირაკლი გოგიბერიძე/ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882013548905 , საკადასტრო კოდი N 01.10.18.001.003 და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი– საბურთალო, გამზირი გელოვანი , N 1 , (ნაკვ.1/3)–ში, შ.პ.ს. "რენო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 001/003) არსებული შენობის 1/1–ის ფასადზე 2 (ორი) ფანჯრის ღიობის მოწყობის და შენობის სახურავზე კონდენციონერის გარე აგრეგატის მონტაჟის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ:

– იმ შემთხვევაში თუ დამკვეთის მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.
–სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.